წელიწადი პირველი.

ცალკე ნომერი 3 კ.

ტფილისი,
ოთხშაბათი
21 ივნისი 1906 წ.

# ახალი ცხოვრება

ტფილისი,
ოთხშაბათი
21 ივნისი, 1906 წ.

№ 2. ყოველ დღიური გაზეთი № 2.

პირველ ივლისიდან მიიღება ხელის მოწერა ყოველდღიურ გაზეთ

„ახალ ცხოვრებაზე“

გაზეთი ღირება:

**ტფილისში:** წლიურათ—6 მ., ექვსი თვით—2 მ. 50 კ., თვიურათ—50 კ.
**ქალაქს გარეთ:** წლიურათ 6 მან. ექვსი თვით 3 მ., თვიურათ—60 კ.

**ცალკე ნომერი ყველგან 3 კაპ.**

ვინც გაზეთს წლის ბოლომდი გამოიწერს იმას გაზეთი 20 ივნისიდან 1 ივლისამდე უფასოთ დაეთმობა.

**რედაქციის** ადრესი: სემიონოვის ქუჩა № 4.

**ფოსტის** ადრესი: Тифлисъ, редакція „Ахали Цховреба“

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

**შ რ ო მ ა**

**სურათებიანის დამატებით**

ფასი გაზეთისა.

კავკასიაში და რუსეთის ყველა ქალაქში გაგზავნით ერთის წლით 7 მ., ერთის თვით 50 კ. სურათ. დამატებით—80 კ.

საზღვარ-გარეთ გაგზავნით ერთის წლ. 11 მ., ერთის თვით 1 მან.

**პირველ მაისიდან წლის დამლევამდე გაზეთი ღირება 4 მ. 50 კ.**

კანტორის ადრესი: ვანქის დიდი ქუჩა, სახლი მარტიროზოვისა. (3—1)

**ხვალ მინგრელსკი პოლკის სალდათების საქმე ირჩევა.—ქუთაისში ნოქრები გაიფიცნენ.—პავლოვი სათათბიროს სხდომიდან განდევნილ იქმნა.—მ. კავალევსკი სიკვდილით დასჯის კითხვაში სოციალდემოკრატებს უერთდება.—ტფილისის სასმელების ქარხნებში გაფიცვაა.—სერედაში ათი ათასი მუშის გაფიცვაა.**

## რევოლიუცია და სათათბირო.

რუსეთის ცხოვრებამ ისევ აღმართისაკენ იბრუნა პირი, დეკემბრის სისხლის მორევში მონათლულ რეაქციას ბოლო ელება. შავ კამარილიას არა სურს, თვისი დასამარება ხალხს იაფად დაუსვას, და, გრძნობს რა ხალხის მსჯავრის მოახლოვებას, ჩქარობს ახალი ავკაცობით დამძიმებული წარსდგეს მის წინაშე. ატრიალდა პაგრომების ოსტატურათ მოწყობილი ჩარხი. აქტიურათ იწყობენ მოქმედებას „რევოლიუციასთან აქტიურ ბრძოლის საზოგადოება“ და „ჭეშმარიტ რუსთა კავშირი“: ეს შავი რევოლიუციონერები შეიარაღებულ კონტრ-რევოლიუციონურ აჯანყებას აწყობენ შეუიარაღებულ ხალხის წინააღმდეგ. რეაქცია ცდილობს რევოლიუციას დაასწროს. მაგრამ ხალხიც ერკვევა დეკემბრის თავზარისაგან, და ეტყობა, რომ უხვათ გამოშვებული სისხლიც ისევ შეუვსია. დარის გამოცვლა კადეტებმაც-კი იგრძნეს: ისინი უფრო-და-უფრო დაჟინებით ქადაგებენ „ძლიერ (კადეტურ) მთავრობას“ და თითქოს ალღო აღლოთ, რომ დალალობის პოლიტიკა ავერ საცაა არხივს გადაეცემა, ხშირ-ხშირად მსჯელობენ „უზენაეს მთავრობასა და სათათბიროს შორის ორგანიულ შეთანხმებაზე“. სჩანს მათ ყურსაც-კი მისწვდა ხმა რევოლიუციის მოახლოვებისა. უფრო და უფრო მაღლა, ფხიზლათ და მრისხანეთ გაისმის ეს ხმა; და ის უბრალო გამეორება არ არის ოქტომბრის დღეებისა. იმ ხმაში რუსეთის რევოლიუციისთვის სრულიათ ახალი ნოტები არის გაწნული. უფრო ძლიერათ და შეუპოვრათ ისმის მუშათა მოძრაობის ხმა—გაფიცვები მოდებულია ყველა სამრეწველო და სახელოსნო კუთხეში. მომუშავეს უმუშაკარი ამოუდგა გვერდში. გლეხიც უფრო მძლავრათ, წინანდელზე უფრო მწყობრათ და შეგნებულათ გამოდის რევოლიუციონურ სცენაზე. მაგრამ თითქმის ახალი ფიგურაა ამ ახალ ხანაში სალდათი; მისი ნაფიცი პატრიოტიზმისა მხოლოდ მოგონება-ღა დარჩენილა, და ის ისევ ძმათ ეფიცება დემოკრატიულ სოფელს და ქალაქს, რომელზედაც ყაზარმა ხელს აღებინებდა. ხიშტების კედელი, რომელშიაც მტარვალი ლაღათ და უშიშრათ გრძნობდა თავს, შავ-ბედით რყევას იწყებს...

მაგრამ რევოლიუცია ჯერ კიდევ არ გამხდარა ცხოვრების ბატონ-პატრონი და საზოგადოებრივ კლასთა და ჯგუფთა მეტი ნაწილი ისევ ძველ კერპებს უტრიალებს გარშემო.

წარსულ ზამთრის საშინელმა განადგურებამ სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილ რევოლიუციონურ ხალხს ერთათ ერთ ნუგეშათ ილლიუზიები დაუტოვა. და ბევრმა ილლიუზიები გამოაცხადა მასსის პოლიტიკურ სიბრმავის უებარ წამლათ. ასეთი ექიმბაშობა საფუძვლათ დაედო იმ ტაქტიკურ პოზიციას, რომელსაც სათათბიროში მონაწილეობის მიღება ჰქვია. სათათბირო მიუხედავათ ამისა არ არის მოკლებული ერთგვარ პოლიტიკურ მნიშვნელობას. და თუ აქნობამდე არ შეიძლებოდა გვეთქვა, რომ მას არავითარი როლი არ უთამაშნია რევოლიუციის განვითარებაში, არც აქტიური არც პასიური, არც დღეს შეიძლება ვთქვათ, რომ სათათბირო უკვე უმნიშვნელო შეიქნაო. და ვიდრე მას პასსიური მნიშვნელობა მაინცა აქვს და დიდი მნიშვნელობაც, ჩვენ იძულებული ვიქნებით ყოველ კონკრეტიულ პირობების ცვლაზე ასეთ კითხვას გაუწიოთ ანგარიში: რა ტაქტიკას უნდა ვადგეთ დღეს სათათბიროს მიმართ?

მაგრამ ჯერ ეს გავიგოთ, რა არის სათათბირო?

კადეტები ცდილობენ ყველანი დაარწმუნონ, რომ სათათბირო „კონსტიტუციონურ“ რუსეთის პირველი პარლამენტია, რომელიც ჯეროვანათ შექნილა მთელი მოაზრე და პოლიტიკურათ მცხოვრებ რუსეთის ყურადღების ცენტრი; რომელიც თვითვე მშვიდობიანის გზით შეავსებს თვის უმნიშვნელო ნაკლულევანებათ; რომელიც მშვიდობიანი გზითვე ჩაიგდებს ხელში მთელი რუსეთის პოლიტიკურ ცხოვრების საჭეს და ხელბედნიერათ წამართავს ქვეყანას და მის ბედიღბალს პროგრესისა და სიკეთისაკენ. ამიტომ, კადეტები დიდის უკმაყოფილობით უყურებენ ქუჩას, როცა ის ზედმეტსა ხმაურობს და სათათბიროს ორატორთა მომხიბლავ მჭერმეტყველებაში დისონანსი შეაქვს, თუმცა ასეთი შემთხვევით იმისთვისაც ისარგებლებენ, რომ თვის ჯიუტ მოპირისპირეს, რომელიც მორიგებას თითქო განზე იჭერს, ახლო წარსულის საშინელნი აჩრდილნი მოაგონოს.

მაგრამ სოციალდემოკრატია, რომელიც ამგვარ გულუბრყვილო ოპტიმიზმს პარლამენტარულ კრეტინიზმს უწოდებს, რომელმაც იცის რაშიაც მდგომარეობს „კონსტიტუციის დედა აზრი“, სულ სხვა საფუძველზე ამყარებს თავის შეხედულებას სათათბიროზე. ქვეყნის ბედიღბლის გადასვლა წარმომადგენლობის ხელში მხოლოდ მაშინ მოხდება, როცა რევოლიუციის სასტიკი რეგლამენტით სათათბიროს ორატორები უკან ჩამოდგებიან და ტრიბუნაზე შესდგება ქუჩა, რომელსაც სიტყვა და საქმე ერთი აქვს, რომელიც ცოტას ლაპარაკობს, მაგრამ შინაარსიანათ. სათათბიროს დაბადებიდანვე პასიური როლი აქვს დაყოლილი, და მას მხოლოდ მაშინ შეეძლება სასარგებლო როლის თამაშობა, როცა შეიგნებს, რომ ის იარაღია საზოგადოების დარაზმულ ძალებისა, და მოკრძალებით, დაემორჩილება ასეთ ბედს. რაც უფრო მეტ შეგნებას შეიტანს იმ ბრძოლის მომზადებაში, რომლის გადამწყვეტიც თითონ სრულიათაც არ იქნება, მით უფრო პირნათლათ იქნება სათათბიროს დანიშნულება შესრულებული. როგორ უნდა მიაღწიოს ამ მიზანს სათათბირომ, ან იმან ვისაც სურს რომ სათათბირო შეძლებისა დაგვარათ ასეთ გზაზე დააყენოს?

**ჯან ბეზარი.**

## სადღეისო კითხვები.

**ისევ „პოგრომების“ მოლოდინში.**

დიახ, ისევ „პოგრომები“! ისევ ალება-განადგურება, ისევ ელეტა-ხოცვა! თითქო მთელი რუსეთი ულმობელი ბედისწერის მსხვერპლი გამხდარიყოს. საქმეს ვერ შველის ვერც მინისტრების გამოცვლა და ვერც სახელმწიფო სალაყბოს ანუ დუმის „მოღვაწეობა“. თუ წინეთ ფონ-პლევეებისაგან შემდგარი მთავრობა „პოგრომებს“ საიდუმლოთ აწყობდა, დღეს ეს აშკარათ ხდება, საზოგადოების თვალწინ, დაურიდებლათ. ამ ბოლო დროს, მართალია, საზოგადოებას რაღაც იმედი დაებადა, რომ დუმის მოწვევის შემდეგ „პაგრომები“ და სხვა უბედურებაც თავიდან აგვცდებაო, მაგრამ სწორეთ ამ უკანასკნელ დროს გახშირდა, როგორც „პოგრომების“ მოხდენა ისე დახვრეტა-ჩამოხრჩობა და სხვ. „დუმის“ ვითომდა რიხიან სიტყვებს მთავრობამ უფრო რიხიანი საქმეებით გასცა პასუხი. ქ. ვოლოგდის და სიმბირსკის ქუჩები დუმის გახსნის დღესვე მოირწყო მშვიდობიან მოქალაქეთა სისხლით. ამას მოჰყვა ბელოსტოკის საშინელი ელეტა, რამაც მთელი ქვეყნიერება აღაშფოთა და შეაძრწუნა. მან არ აღაშფოთა მხოლოთ მუხანათი მთავრობა, იგი წარბშეუხრელათ თვით „დუმის“ წინაშე ურცხვათ აცხადებს, რომ ყოველივე კანონიერათ ხდება და მომავალშიაც ასე იქნებაო. დღეს მთელმა ქვეყანამ უწყის, თუ როგორ მოამზადა მთავრობამ ბელოსტოკის უკანასკნელი „პოგრომი“. მთავრობამ ამისთვის არ დაინდო არც ბელოსტოკის პოლიცმეისტერი დერგაჩევი, რომელიც თურმე „პოგრომის“ წინააღმდეგი იყო. პოგრომის მომხრე მოხელეებმა დერგაჩევი მოკლეს და ეს საზიზღარი მკვლელობა ორნაირათ გამოიყენეს: პოგრომის მოხდენის ერთი დაბრკოლება თავიდან აიცილეს და იმავე საზოგადოებაში ხმა გაავრცელეს დერგაჩევი კრამოლნიკებმა-ბუნტოვშჩიკებმა მოკლესო. მიუხედავათ იმისა, რომ ყოველივე ეს გამოაშკარავდა, ყოველივე ეს დაგმობილ იქნა ერთხმათ თვით სახელმწიფო დუმის ტრიბუნიდან, მიუხედავათ იმისა, რომ მინისტრი სტოლიპინი იმავე ტრიბუნიდან ირწმუნებოდა, რომ ამიერიდან ასეთ პოგრომებს ალაგი აღარ ექნებაო, მეორე დღეს, პეტერბურგში, სახელმწიფო სათათბიროს ცხვირ წინ პოლიციის პრისტავი ბარაჩი აშკარათ, დაურიდებლათ აცხადებს: „ბელოსტოკი რა არის? აქ, პეტერბურგში, ახლო მომავალში უკეთესი პაგრომი მზადდება. ჩემ უჩასტკაში კი ისე მოვაწყობთ ამოხოცვის საქმეს, რომ ერთი ებრაელი ცოცხალი აღარ დარჩეს“ („რეჩი“, № 99). ამაზე უფრო გულდაბლობა შეუძლებელია! „პოგრომების მოხდენაში ჩვენ ისე ვართ დახელოვნებული, რომ რამდენიც გინდათ, იმდენი კაცის ამოჟლეტას მოვახდენთო. თავ. ურუსოვმაც სწორეთ ეს გამოამჟღავნა. მაგრამ მერე რა! საქმეს ვერ უშველის მინისტრების გამოცვლა—განაცხადა მან. აქედან ის დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ, რომ საქმეს ვერც დღევანდელი სათათბირო უშველის, თუნდაც თავისი სამინისტროს შედგენით. საქმე ისეა დაყენებული, რომ მხოლოთ მთელი დღევანდელი რეჟიმის ძირიანათ განადგურება ბოლოს მოუღებს ხალხის უბედურებას.—დღეს მთავრობა ყოველგვარ პროვოკაციას ეწევა პაგრომების მოსახდენათ და თუ ყოველგან ამას ვერ ახერხებს, ეს იმიტომ, რომ ხალხში საამისო ნიადაგს ვერ პოულობს. პირიქით, ხალხის შეგნებული ნაწილი, განსაკუთრებით ქალაქის პროლეტარიატი მედ-

გრათ ებრძვის მთავრობის ასეთ პროვოკაციულ მოქმედებას.

### ჯარი და პოლიტიკა.

რუსეთის რევოლიუციის დღევანდელი მომენტის ერთ უმთავრეს მოვლენას შეადგენს ჯარის გამოღვიძება, მის გაცნობიერების გზაზე დადგომა. ყოველ დღე სხვა და სხვა კუთხიდან და ქალაქებიდან დეპეშები გვაცნობებენ, რომ ჯარის კაცები დღეს ისე ბრმა იარაღს აღარ წარმოადგენენ მთავრობის ხელში, როგორც ეს აქამდის იყო. გაფიცვებმა როგორც ეკონომიურ, ისე პოლიტიკურ ნიადაგზე ჯარშიაც იჩინა თავი. რა თქმა უნდა ასეთ მოვლენას ყველა ის, ვინც კი დღევანდელ განმათავისუფლებელ მოძრაობას გულწრფელათ თანაუგრძნობს, სიხარულით მიეგებებოდა. ასე მიეგება ამ ამბავს ამხ. გომართელი სახელმწიფო სათათბიროში, მან აშკარათ განაცხადა, რომ იმის თანაგრძნობა გამოღვიძებულ ჯარის მხარეზეაო. მაგრამ რას ნიშნავს ჯარის გამოღვიძება? სამწუხაროთ, ვერ ვიტყვით, რომ ამხ. გომართელს ნათლათ ქონოდეს ეს კითხვა გარკვეული. აი საბუთიც. როცა დეპ. ფედოროვსკიმ ამხ. გომართელის სიტყვის იმ ნაწილის წინა ღმდეგ, რომელიც ჯარის გამოფხიზლებას ეხებოდა, პროტესტი განაცხადა და გომართელის სიტყვებს: „რუსის ხალხის სინიდისმა და პატიოსნებამ რუსის ჯარშიაც დაილაპარაკაო“ გამოგონილი ამბავი უწოდა, ამხ. გომართელმა ამაზე აი რა უპასუხა: მე სრულებით არ მომიწოდებია ჯარი არსებულ წესწყობილების წინაღმდეგ საბრძოლველათ პირ იქით, აქამდის მთავრობა ითრევდა ჯარს პოლიტიკაში, როცა იმას თავის მოძმეების წინაალმდეგ გზავნიდა. ამიერიდან ეს აღარ იქნებაო ჯარი პოლიტიკის გარეშე უნდა იდგესო („დუმა“, N 39) ჩვენ არ ვიცით, თუ როგორ აქვს ამხ. გომართელს წარმოდგენილი ჯარი და მთავრობა დღევანდელ სახელმწიფოში. ის კი აშკარაა, რომ დღევანდელი ჯარი მთავრობის მარჯვე იარაღია ხალხის წინაალმდეგ მიმართული. ჯარი იცავს არსებულ წესწყობილებას ე. ი. იგი ებრძვის „შინაურ მტრებს“, ე. ი. იმათ, ვინც არსებული წესწყობილების მოწინაალმდეგენი არიან. ეს არ არის შემთხვევითი მოვლენა. ამნაირათ შეუძლებელია, რომ დღევანდელ სახელმწიფოში ჯარი პოლიტიკის გარეშე იდგეს. მხოლოდ კითხვა იმაშია, თუ ვის ემხრობა იგი, ვის იცავს და ან ვის ინტერესებს ემსახურება. ჯარი პოლიტიკის გარეშე იქნება მხოლოდ მაშინ, როცა სრულებით მოისპობა მუდმივი ჯარი, როცა მოისპობა დღევანდელი კლასობრივი სახელმწიფო, ე. ი. მოისპობა ჩაგვრა და ყვლეფა. ამიტომ ჩვენ დიდ შეცდომათ მიგვაჩნია ამხ. გომართლის უკანასკნელი განმარტება, რომელიც მან დეპ. ფედოროვსკის სიტყვების შემდეგ მოახდინა.

## ახალი ამბები

გუშინ წინ, 19 ივნისს **ტრამვაის მოსამსახურეთა მიტინგზე**, რომელსაც 500—600 კაცი დაესწრო, მინგრელსკი პოლკის 27 სალდათის განსამართლების შესახებ გამოიტანეს რეზოლიუცია, რომელიც დღეს გაეგზავნება სახელმწიფო სათათბიროს სოც.-დემ. ფრაქციას. მიტინგი ითხოვს, რომ განთავისუფლებულ იქმნან ყველა 27 კაცი, გაუქმებულ იქმნას სიკვდილით დასჯა და მოწვეულ იქმნას დამფუძნებელი კრება.

✦ ფაბრიკა „მირის“ მუშებმა კრებაზე, რომელსაც 300 კაცი დაესწრო, რეზოლიუცია გამოიტანეს, რომელშიც ისინი **პროტესტს აცხადებენ სიკვდილით დასჯის** წინაალმდეგ, ითხოვენ მის გაუქმებას რუსეთში; ითხოვენ აგრეთვე მინგრელსკი პოლკის სალდათების განთავისუფლებას. ამ რეზოლიუციას შემდეგ კიდევ 160 კაცმა მოაწერა ხელი.

✦ ქუთაისში 19 ივნისს **ნოქრების გაფიცვა** დაწყებულა. მოთხოვნილებები ეკონომიური ხასიათისაა.

✦ როგორც „ლამპარს“ გაუგია, გუშინ დუმას დაუდგენია, **სიკვდილით დასჯა გაუქმდეს**.

✦ თფილისის ვაჭრებს გადაუწყვეტიათ **ბოიკოტი** გამოუცხადონ ადგილობრივ თამბაქოს ფაბრიკებს, რადგან ფაბრიკების ადმინისტრაცია დღემდე არ აკმაყოფილებს გაფიცულ მუშების სამართლიან მოთხოვნილებებს.

✦ **გაიფიცენ** სარაჯიშვილისა, მელვიჰოვისა და სხვა სასმელების ქარხნათა მუშები, რომელთაც აღებს ეკონომიური მოთხოვნილებები წარუდგინეს,

✦ 16 ივნისს, **ქუთაისში** გაძარცვეს „ნადეჟდას“ ამხანაგობის საგენტო და სანთლის საწყობი. პირველიდან, როგორც გადმოგვცეს წაუღიათ 3,000 მ., ხოლო მეორედან—300.

✦ **მიგრელსკი პოლკის ჯარის-კაცის საქმე** ხვალ ირჩევა. ჯარში ამათ შესახებ დიდი მითქმა-მოთქმაა. ხმებია, თითქოს ადგილობრივ მაღალ წრეებში ის აზრი ტრიალებს, რომ ამათ სიკვდილით დასჯა არ მიუსაჯონო, რადგან მას ჯარში მღელვარება და სხვა არა სასურველი შედეგის გამოწვევა შეუძლიაო.

✦ 18 ივნისის კრებაზე ფარმაცევტთა კავშირმა შემდეგი **რეზოლიუცია** მიიღო: „საერთო კრება კავკასიის ფარმაცევტთა კავშირის გაეცნო მუშათა ჯგუფისაგან რუსეთის პროლეტარიატისადმი გამოცემულ მანიფესტს და მისგანვე დუმაში წამოყენებულ დეკლარაციას, სალამს უთვლის მუშათა ჯგუფს დუმაში და აცხადებს, რომ იგი მზადაა პირველ შემთხვევისათანავე მხარი დაუჭიროს მას თავის მოთხოვნილებებისთვის ბრძოლის დროს“.

✦ ტატიანეს ქუჩაზე, გუშინ 20 ივნისს 5 შეიარაღებული უცნობი **თავს დაესხა** რკინის გზის კომერციულ განყოფილების მეარტელეს ზავიალოვს, რომელსაც თან ახლდა ორი საერობო რკინის გზის დარაჯი. ერთი ამ დარაჯთაგანი მურზი მოკლეს, ხოლო მეორე დროჟინი დაიჭრა. უცნობნი მიიმალენ, მაგრამ არ გასულა სულ რამდენიმე წუთი, რომ მახლობლათ შეიპყრეს სულ გაოშენი ერასტი ჯორბენაძე და ივ. უშვერიძე, რომელნიც შემთხვევით მოყვენ თურმე იქ და როცა სროლა შემოესმიათ, გაქცეულიყვენ. წაიღეს ფულათ 5170 მანეთი.

✦ 17 ივნის, დილის 8 საათზე **ცეცხლი** ვაჩნდა ადელხანოვის აქციონერულ საზოგადოების ფაბრიკაში, რომელიც შემდეგ ცეცხლის მქრობელმა რაზმმა ჩააქრო. ცეცხლისგან ზარალი 8000 მან. უდრის.

✦ ამ დღეებში შეერთებული **სხდომა** ქონდათ თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა გამგე კომიტეტს და მოსწავლეთა დამხმარე საზოგადოების კომისიას. შეერთებულ სხდომაზე ამოირჩიეს ცალკე ჯგუფი, რომელსაც მიენდო სათავად-აზნაურო გიმნაზიის საპედაგოგიო საბჭოსა და სხვა საქმეების შედგენა და მოწყობა. ამ ჯგუფში ამორჩეულ იქმნენ შ. ჩიტაძე, ლ. ბოცვაძე, პ. სურგულაძე, ნ. გოგიტიძე, დ. კარიჭაშვილი, მ. თაქთაქიშვილი და ა. იაშვილი.

✦ 19 ივლისს **დავითის ქუჩაზე** ვას. ლეკიშვილის დუქანში რამდენიმე კაცი ისხდა. ამათ ცოტა ხნის შემდეგ ერთმანეთს ჩხუბი აუტეხეს, რომლის დროს რევოლვერებიც გაისროლეს. მოკლეს ერთი, რომელიც აღმოჩნდა სტეფანე ბორხიანცი, მექუდე.

# ფელეტონი

## ანარხიზმი თუ სოციალიზმი?

### I

### დიალექტიური მატერიალიზმი.

ჩვენ არ ვეკუთვნით იმ პირებს, რომლებიც სიტყვა „ანარხიზმის“ ხსენებაზე ცხვირს მაღლა აიწევენ ხოლმე და ხელის ჩაქნევით ჩაილაპარაკებენ: „ნეტავი თქვენ, რომ მოგიცლიათ, — ლაპარაკათაც არა ღირსო“. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ასეთი იაფფასიანი „კრიტიკა“ არც საკადრისია და არც სასარგებლო.

ჩვენ არც იმ პირებს ვეკუთვნით, რომლებიც თავს იმითი ინუგეშებენ, რომ ანარქისტებს „მასსა არა ჰყავთ და ამიტომ არც ისე სახიფათონი არიანო“. საქმე იმაში არაა, ვის ბევრი „მასსა ჰყავს“ დღეს და ვის ცოტა—საქმე მოძღვრების ავკარგიანობაშია. თუ ანარქისტების „მოძღვრება“ სიმართლეს გამოხატავს, მაშინ. თავისთავათ ცხადია, რომ ის უეჭველათ გზას გაიკვლევს და მასსას შემოიკრებს; ხოლო თუ ის უვარგისია და ყალბ ნიადაგზე აშენებული,—დიდხანს ვერ იხეირებს და ჰაერში დაეკიდება. ანარხიზმის უვარგისობას კი დამტკიცება ესაჭიროება.

ჩვენ გვწამს, რომ ანარქისტები ჩვენი ნამდვილი მტრები არიან. მაშასადამე, გვწამს აგრეთვე ის, რომ ნამდვილ მტრებთან ნამდვილი ბრძოლაა საჭირო. ამისთვის კი საჭიროა თავით ბოლომდე გადავხედოთ ანარქისტების „მოძღვრებას“ და საფუძვლიანათ ავწონ-დავწონოთ მისი ავკარგიანობა.

მაგრამ ანარხიზმის კრიტიკასთან ერთათ საჭიროა ჩვენი საკუთარი პოზიციაც განვმარტოთ და, ამგვარათ, მარქს-ენგელსის მოძღვრება დავასურათოთ. ეს მით უფრო საჭიროა, რომ ზოგიერთა ანარხისტები ყალბ წარმოდგენას ავრცელებენ მარქსიზმზე და არევ-დარევას ახდენენ მკითხველის თავში.

მაშ შევუდგეთ საქმეს.

—

> „ყველაფერი მოძრაობს ქვეყანაზე... იცვლება ცხოვრება, იზრდება საწარმოვო ძალები, ინგრევა ძველი ურთიერთობანი... მუდმივი მოძრაობა და მუდმივი ნგრევა-შენება, ასეთია ცხოვრების შინაარსი.
>
> კ. მარქსი (იხ, „ფილოს. სიღ.“).

მარქსიზმი არ არის მარტო სოციალიზმის ტეორია, ეს—მთელი მსოფლიო მხედველობაა, ფილოსოფიური სისტემაა, საიდანაც ლოღიკურათ გამომდინარეობს მარქსის პროლეტარული სოციალიზმი. ამ ფილოსოფიურ სისტემას დიალექტიური მატერიალიზმი ეწოდება. ცხადია, მარქსიზმის დასურათება—ეს დიალექტიური მატერიალიზმის დასურათება იქნება.

რატომ ჰქვია ამ სისტემას დიალექტიური მატერიალიზმი?

იმიტომ, რომ მისი **მეტოდი** დიალექტიურია, ხოლო მისი **ტეორია** — მატერიალისტური.

რა არის დიალექტიური მეტოდი?

რა არის მატერიალისტური ტეორია?

ამბობენ, რომ ცხოვრება დაუდგრომელ ზრდა-გავითარებაშიაო, და ეს მართალიც არის: ცხოვრება არ არის ერთი რამ მუდმივი და გაყინული, ის არასოდეს არ ჩერდება ერთ დონეზე—ის მუდმივს მოძრაობასა და ნგრევა-შენებაშია. ტყუილათ კი არ ამბობდა მარქსი: „მუდმივი მოძრაობა და მუდმივი ნგრევა-შენება, ასეთია ცხოვრების შინაარსიო“. ამიტომ არის, რომ ცხოვრებაში მუდამ არსებობს **ახალი** და **ძველი**, მოზარდი მამაკვდავი, რევოლიუცია და რეაქცია—იქ უეჭველათ კვდება რაღაცა და ამავე დროს უეჭველათ იბადება რაღაცა...

დიალექტიური მეტოდი ამბობს რომ ცხოვრება სწორეთ ისე უნდა განვიხილოთ, როგორც ის სინამდვილეში არსებობს. ცხოვრება დაუდგრომელ მოძრაობაშია,—მაშასადამე ჩვენი ვალია მის მოძრაობასა და ნგრევა-შენებაში განვიხილოთ ცხოვრება. საით მიდის ცხოვრება, რა კვდება და რა იბადება ცხოვრებაში, რა ინგრევა და რა შენდება - აი, ყველაზე პირველათ, რა კითხვები უნდა გვაინტერესებდეს ჩვენ.

ასეთია დიალექტიური მეტოდის პირველი დასკვნა.

ის, რაც ცხოვრებაში იბადება და დღითი დღე იზრდება—უძლეველია, მისი წინსვლელობის შეჩერება შეუძლებელია, მისი გამარჯვება აუცილებელია; ე. ი. თუ, მაგალითათ, პროლეტარიატი იბადება ცხოვრებაში და დღითი დღე იზრდება, რაც უნდა სუსტი და მცირე რიცხოვანი იყვეს ის დღეს, ბოლოს და ბოლოს მაინც გაიმარჯვებს. სამაგიეროთ, ის, რაც ცხოვრებაში კვდება და სამარისკენ მიექანება, აუცილებლათ უნდა დამარცხდეს; ე. ი. თუ მაგალითათ, ბურჟუაზია ნიადაგს კარგავს და დღითი დღე უკან და უკან მიდის, რაც უნდა ძლიერი და მრავალ რიცხოვანი იყვეს ის დღეს, ბოლოს და ბოლოს მაინც უნდა დამარცხდეს და სამარეში ჩაესვენოს. აქედან წარმოსდგა ცნობილი დიალექტიური თქმულება: ყველაფერი ის, რაც ნამდვილათ არსებობს, ე. ი. ყველაფერი ის რაც დღითი დღე იზრდება—გონიერიაო.

ასეთია დიალექტიური მეტოდის მეორე დასკვნა.

მეცხრამეტე საუკუნის მეოთხმოცე წლებში შესანიშნავი კამათი ატყდა რუსეთის რევოლიუციონურ ინტელიგენციაში. ნაროდნიკები იძახდნენ, რომ უმთავრესი ძალა, რომელსაც შეუძლიან თავს იდოს „რუსეთის განთავისუფლება“ ღარიბი გლეხკაცობააო. რატომ? ეკითხებოდნენ მარქსისტები. იმიტომ, რომ გლეხკაცობა ყველაზე მეტია და ამავე დროს ყველაზე ღარიბია რუსეთის საზოგადოებაშიო. მარქსისტები უპასუხებდნენ: მართალია, გლეხკაცობა დღეს უმეტესობაა და ძალიან ღარიბებიც არიან, მაგრამ განა ამაშია საქმე? გლეხკაცობა დიდი ხანია უმეტესობას შეადგენს, მაგრამ დღემდის, პროლეტარიატის დაუხმარებლათ, არავითარი თაოსნობა არ გამოუჩენია „თავისუფლებისთვის“ ბრძოლაში. მერე რატომ? იმიტომ, რომ გლეხკაცობა, როგორც წოდება, დღითი დღე იშლება, პროლეტარებათ და ბურჟუებათ იყოფა: მაშინ როდესაც პროლეტარიატი, როგორც კლასი, დღითი დღე იზრდება და ჯანღონით ივსება. არც სიღარიბეს აქვს აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა: „ბოსიაკები“ გლეხებზე ღარიბები არიან, მაგრამ ვერავინ ვერ იტყვის, რომ ისინი „რუსეთის განთავისუფლებას“ იკისრებენ. საქმე მხოლოდ იმაშია, თუ ვინ იზრდება და ვინ ბერდება ცხოვრებაში და რადგანაც პროლეტარიატი ერთად ერთი კლასია, რომელიც შეუჩერებლათ იზრდება და სიცოცხლისკენ მიილტვის, ამიტომ ჩვენი ვალია გვერდში ამოუდგეთ მას და უმთავრეს ძალათ ვცნოთ რუსეთის რევოლიუცია-

◆ ჩვენ გავიგეთ, რომ თფილისის **პოლიცმეისტერს** მარტინოვს სადაც ჯერ არ ჰქონდა შეტანილი თავის ავადმყოფობის შესახებ. მისი თანამდებობის ასრულება დროებით და ევალა მე-10 საპოლიციო ნაწილის ბოქაულს ბოიარინოვს. ხმებია, თითქო პოლიცმეისტერი სრულიად ანებებს თავს სამსახურს.

◆ რკინის გზის სადგურზე გუშინ წინ შემდეგი ამბავი მოხდა. 30-მდე **ჯარის კაცები** ყარსში მიმავალ მატარებლის მე-2 კლასის ვაგონით უნდა გაეგზავნათ, მაგრამ ამათ იუკადრისეს ამ ვაგონით წასვლა და ვაგონში არ შეუშვიდენ. საჩქაროთ მატარებლისთვის მე-3 კლასის ვაგონის მობმა უნდოდათ, მაგრამ გვიან იყო, მატარებელი დაიძრა და სალდათები დარჩენ.

◆ გამოვიდა და იყიდება ახალი წიგნაკი: ს-ქ[illegible]ნიერო საუბარი (ფ. ენგელსი. განვითარება მეცნიერული სოციალიზმისა) გამოცემა „სხივი" ფასი 15 კაპ.

# კავკასია

**ბაქო.** მე ამ ჟამათ მხოლოდ ერთს მეტისმეტათ საყურადღებო ამბავს გაგაცნობთ. მოხდა ის, რაც ადრე თუ გვიან უნდა მომხდარიყო. ცნობილი ლევ შენდრიკოვი, აქაურ ყოფილ მეუმცირესთა ფრაქციის ერთი მთავარ ბელადთაგანი და და მუშათა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარე, ორგანიზაციის სამართალში იყო მიცემული. მას ბრალს სდებდენ, რომ ის თავის მოქმედებაში ს.-დემოკრატიული მოძღვრების გატარებას უფრთხოდა, იქცეოდა არა როგორც სოციალ-დემოკრატი, ჰქონდა დამოკიდებულება ადგილობრივ კაპიტალისტებთან, ეწეოდა საზიზღარ დემაგოგიას ადგილობრივ ს.-დ. ორგანიზაციის წინააღმდეგ. რყვნიდა თავის ანტი ს.-დემოკრატიული აგიტაციით პროლეტარიატს. ავიწყებინებდა მას თავის უმთავრეს კლასიურ კითხვებს და ისტორიულ როლს. ახურდავებდა რევოლიუციურ მოძრაობას თავის „განსაკუთრებულ" პლანებსა და კაპიტალისტებთან „შერიგების" პოლიტიკაზე ამაში ამტყუნებდენ მას და სხვებს მათთან. მაგრამ რაკი სხვები ბაქოში არ იმყოფებოდენ, უნდა გასამართლებულიყო ლ. შენდრიკოვი. უკანასკნელს ადრევე ქონდა მოპოებული გავლენა პროლეტარიატის ერთ ნაწილში. მის გასამართლებაში დიდათ დაინტერესებული იყო ყველა. ყოფილი ფრაქციები სხვადასხვანაირათ უყურებდენ პროცესს და მის საგანს შენდრიკოვს. ყოფილი მეუმცირესენი, ზოგიერთების გარდა, ვერავითარ ზადს ვერ ხედავდენ ხსენებული პირის მოღვაწეობაში. პირიქით, დიდ ქებაში იყვენ. შენდრიკოვი ასეთი და ისეთი ყოჩაღი, ენერგიული და პარტიის მოყვარული და მოქარნახულიაო. და თუ მას აბრალებენ რაღაც რაღაცეებს—ეს სუყველაფერი ყოფილი მეუმრავლესეების ოინებიაო. რამდენიმე დღის წინეთ ლენინის და პლეხანოვის უკანასკნელ წერილებს ვარჩევდით. ერთმა ამხანაგმა, შემდეგი სთქვა: ლენინი ვერ ინელებს პლეხანოვს, ის ისე ემტერება მას, როგორც აქაური მეუმრავლესენი ლევ შენდრიკოვსო. ეს მომყავს იმიტომ, რომ აშკარათ ვყო—თუ რანაირი განწყობილება სუფევდა შენდრიკოვთან. მას თურმე ისე ემტერებოდენ, როგორც პლეხანოვს. საქმე კი ნამდვილათ სულ სხვაში მდგომარეობდა. შენდრიკოვს უყურებდენ ყოფილი მეუმრავლესენი როგორც არა სოციალ-დემოკრატიულ დემაგოგს, რომელიც შემოჰრილიყო რაღაც მანქანებით ჩვენს პარტიაში და რყვნიდა პროლეტარიატის წმინდა საქმეს. არც მეტი და არც ნაკლები. და თუ შენდრიკოვი მთავარი ბელადი იყო ყოფილ მეუმცირესეების ფრაქციის—ეს არსებითათ გარემოებას არ სცვლიდა, შენდრიკოვი უკიდურესი წინააღმდეგი იყო ფრაქციების შეერთების. ის ყოველ ღონეს ხმარობდა ჩაეშალა გაერთიანების საქმე და ამისთვის მიზეზიც ქონდა. გაერთიანება საერთოთ სპობს ნიადაგს დემაგოგიისთვის და თავისი პირადი ინტერესების გაბატონებისათვის. ფრაქციები გაერთიანდენ. შენდრიკოვი და ძმანი მისნი ორგანიზაციას ჩამოშორდენ და შორიდან დაუწყეს მას ფურთხება ჩვეულებრივათ. შენდრიკოვი პარტიიდან კასვლის სურვილს სრულიადაც არ აცხადებდა. მას ჩვენი ორგანიზაცია არ მოსწონდა და საბუთათ ის მოყავდა, რომ ორგანიზაცია არ ვარგა, სანამ არ გადასხვაფერდება. შიგ როგორ შევალო. ამავე დროს დაიბადა აზრი შენდრიკოვის და მისი ძმების გასამართლების შესახებ. შენდრიკოვი ბევრჯელ გაურბოდა სამართალს. შემაერთებელი კრების შემდეგ მან აშკარათ განიზრახა ორგანიზაციაში შემოსვლა—ალბათ ფიქრობდა შემაერთებელმა კრებამ მის „პოლიტიკასთან" შეგვაერთა და პარტიაში საერთო გამარჯვება მის „საკუთარ" მიმართულებას დარჩა. მეუმცირესენიც დაჟინებით თხოულობდენ—სამართალიო. საბუთების შეკრებამ და საზოგადო გამოძიებამ დიდხანს გასტანა. შენდრიკოვის მიმდევრები თმას იგლეჯდენ, მეუმრავლესენი საქმეს აჭიანურებენ, ეს ფრაქციული მტრობით მოსდის, ისინი მალე უნდა აიბარგონ აქედანო, და გასამართლებამდე თხოულობდენ ორგანიზატორათ უნდა დაინიშნოს რაიონშიო. რაიონის კოლექტივშიაც კი გაიყვანეს ერთხელ. როგორც იქნა, გასამართლების დღე დადგა. ბევრი დარწმუნებული იყო იმაში, რომ საკმაო საბუთები არ იქნება მის საწინააღმდეგოთ. ბევრი სულ წინააღმდეგს ფიქრობდა. საარაიონოთა შორის კრებამ მოისმინა გამოძიების შედეგები. კრებაზე აღმოჩნდა, რომ შენდრიკოვი წერილს წერდა ბ. დჟუნკოვსკის დჟუნკოვსკი—ეს კავკასიის ნამესტნიკის რწმუნებულია, კავკასიის პოლიციის ერთი მთავარ აგენტთაგანია. შენდრიკოვი კი—რ. ს. დ. მ. პ. წევრია. შენდრიკოვი 30,000 მან. სომხიდას თხოვს დჟუნკოვსკის რაღაც ამხანაგობების დასაარსებლათ. ამასთანავე გულახდილათ ელაპარაკება თავის ახალ მიმართულებაზე, ძველი მიმართულების უარყოფაზე. ჩემთვის ახლა ყველაფერი ნათელია, ახლა სულ სხვა ვარო. კრება მხოლოთ ამ ფაქტზე ჩერდება. მის დანარჩენი გამამტყუნებელი საბუთების გარჩევას შეუდგება მაშინ, თუ დჟუნკოვსკისადმი მიწერილმა წერილმა არ გაამტყუნა შენდრიკოვი. მაგრამ კრება ირჩევს მოუსყიდველ მოსამართლეებს თავის მხრიდან. იმათ გამოაქვთ შემდეგი რეზოლიუცია: დჟუნკოვსკიმ მიიღო თუ არა შენდრიკოვის წერილი, ეს არ მტკიდება. მაგრამ წერილია სერიოზულათ და სპეციალურ დანიშნულებისთვის. ამიტომ ლ. შენდრიკოვს სასამართლო არა თვლის სოციალ-დემოკრატ თ და მოითხოვს მის ადგილობრივი ორგანიზაციიდან განდევნას.—ამ რეზოლიუციას ამტკიცებს საარაიონოთა შორისო კრება-ბაქოს ორგანიზაცია რ. ს. დ. მ. პარტიის და ამიერიდან ბ. შენდრიკოვი ითვლება განდევნილათ, ფიზიონომია მისი საბოლოოთ ირკვევა, მთელი კრება განურჩევლათ ფრაქციული დაყოფისა და სიმპატიისა ზიზღს უცხადებს მას. მეუმცირესენი რწმუნდებიან, რომ საძაგელ კაცთან ქონიათ საქმე და მყისვე შორდებიან მას. მეუმცირესეთა გაზეთი „შრომა" აცხადებს რომ ამიერიდან შენდრიკოვს საერთო არაფერი აქვს გაზეთთანო (ამდენხანს შენდრიკოვი ამ გაზეთში იყო დაბუდებული). პარტიის ავადმყოფური მდგომარეობა თუ არა ასეთი პირის ვინაობა ადრევე გამოქვეყნდებოდა. შენდრიკოვშჩინა ისეთივე ხელია, როგორც გაპონოვშჩინა. ამათ ყველას ერთნაირი სარჩული და პირი აქვთ. ისინი მოევლინენ განმათავისუფლებელ მოძრაობას, იმიტომ რომ მოძრაობა დაამსხვრიონ, გააქარწყლონ, მუშა ხალხი გადაიყვანონ თავიანთ გზაზე, აურიონ მას გზა-კვალი და გზათ და ხიდათ გაუხადონ პროლეტარიატის ინტერესები გაბატონებულ მყვლეფელობას და მთავრობის პროვოკაციას. ჩვენი პარტია რამდენათ წინ წავა განვითარებისკენ და ჭეშმარიტ გაერთიანებისკენ—მით უფრო ნაკლებათ მოიკიდებს ფესვებს ყოვლათ საძაგელი ავათმყოფობა, ე. წ. გაპონოვშჩინა და შენდრიკოვშჩინა. ისიც უნდა ვსთქვათ, რომ ეს უკანასკნელნი სხვა და სხვა პირობებში იჩენენ თავს. გაპონი, უშაკოვი და სხვ. ჩვენს პარტიაში თავის დღეში არ ყოფილან, ხოლო შენდრიკოვი კი ცნობილი წევრი იყო **ჩვენი პარტიის**. მაგრამ გამოაშკარავება შენდროკოვის ვინაობის—კიდევ არ ნიშნავს მისი მიმართულების ძირიან-ფესვიანათ აღმოფხვრას. საჭიროა, რა თქმა უნდა, შენდრიკოვის საქმეზე გადაბმულ-გადაქავაულ საქმეებს და ვითარებასაც ნათელ ეყოს. რაც მალე იქნება—მით უკეთესია. იმედია ასეთ საქმეში ფრაქციული უთანხმოებანი არ წამოყოფს თავს, ვინაიდან ფრაქციულ წინააღმდეგობას და ბრძოლას გაერთიანებულ პარტიის საზღვრებში არავითარი კავშირი არა აქვს გარყვნილ და გამათახსირებელ ავადმყოფობასთან, რომელსაც მე შენდრიკოვშჩინა ვუწოდე. მეტი სინათლე პარტიაში, ამხანაგებო, და ასეთი ავადმყოფობა თან და თან გაქრება.

ნ. ხ-ელი.

**ბათუმი.** ადგილობრივი სალდათების ღელვა ჯერ არ გათავებულა. მართალია, სამხედრო მთავრობა ჯარის კაცთა მტრისხანე მუქარის გამო იძულებული შეიქნა მათი მოთხოვნები დაეკმაყოფილებია, მაგრამ ყველა მიხვდება, თუ როგორ უნდა გრძნობდეს დღეს მთავრობა თავის თავს ასეთი საჯაყი საქმის შემდეგ მეორე მხრით ჯარის კაცების ღელვა კიდევ იმ გარემოებით არის გაორკეცებული, რომ იმათ ემუქრებიან კაზაკები. უკანასკნელმა ამბებმა აშკარათ დაანახვეს ჩვენ ჯარის კაცებს, თუ რა როლს თამაშობენ დღეს კაზაკები; თუ რა მიზნით ხმარობს იმათ მთავრობა. ბათუმის სალდათებმა, თავისი თვალით დაინახეს, რომ კაზაკებს არავითარი, წმიდათა წმინდა არ გააჩნიათ, რომ ისინი მზათ არიან, რომ ყოველგვარი ღალატი და სისაძაგლე ჩაიდინონ. მას შემდეგ რაც ადგილობრივი კაზაკები კიდევ უფრო გაუთაურდენ და მოწადინებული არიან რამენაირათ სისაძაგლით პასუხი გასცენ როგორც გამარჯვებულ ჯარის-კაცებს, ისე მცხოვრებლებს. მოვ. 16 ამ თვეს იმათ მოინდომეს ქალაქის ერთ უბანში ძარცვისა და ხოცვა-ჟლეტის მოხდენა. რამდენიმე დამთვრალმა კაზაკმა ჩხუბი აუტეხეს ტყუილ-უბრალოთ მედუქნეებს. მხოლოდ ჯარის-კაცების ჩარევამ ააცდინა მცხოვრებლები სისხლის ღვრას და აწიოკებას. მეორე დღეს კაზაკებმა გაავრცელეს გექტოგრაფზე დაბეჭდილი მოწოდება სალდათებისადმი რომელშიაც ისინი მოუწოდებდენ სალდათებს ქალაქის ასაკლებათ და სომხების, ურიების, ქართველების და ინტელიგენტების ამოსაჟლეტათ, როგორც ხელისწიფის და ტახტის „მოღალატეებისას." ხალხში ამ ამბავმა შიში გამოიწვია. ყოველივე ეს მაშინვე ემცნო ადგილ ბრივ სალდათებს. იმათ გადაწყვიტეს, თუ ვ[illegible]ობაა, კაზაკებმა მართლაც გაბედეს თავისი საზიზღარი განზრახვის სისრულეში მოყვანა ჯარის კაცები ქოველი ღონეს იხმარებენ რომ ამის სისრულეში მოყვანა დაუშალონ.

---

შიო—პასუხობდნენ მარქსისტები. როგორც ხედავთ, მარქსისტები დიალექტიური თვალით უყურებდენ კითხვას, მაშინ როდესაც ნაროდნიკები მეტაფიზიკურათ მსჯელობდნენ, რადგანაც ცხოვრებას ისე უყურებდნენ, როგორც „ერთ წერტილზე შეყინულს" (იხ. ფ. ენგელსი. „ფილოსოფია, პოლ. ეკონომია და სოციალიზმი").

ასე უყურებს დიალექტიური მეტოდი ცხოვრების მოძრაობას.

მაგრამ მოძრაობაც არის და მოძრაობაც. ცხოვრების მოძრაობა იყო „დეკემბრის დღეებში", როცა წელში გამართული პროლეტარიატი იარაღის საწყობებს ეცემოდა და იერიშით მიდიოდა რეაქციაზე. მაგრამ ცხოვრების მოძრაობა უნდა დაერქვას აგრეთვე წინა წლების მოძრაობას, როცა „დამშვიდებული" პროლეტარიატი პატარა კავშირებს ადგენდა და ალაგ-ალაგ იფიცებოდა. ცხადია მოძრაობას სხვა და სხვა ფორმები ჰქონია. და აი, დიალექტური მეტოდი ამბობს, რომ მოძრაობის ფორმა ორგვარია: ევოლიუციონური და რევოლიუციონური. ევოლიუციონურია მოძრაობა, როცა პროგრესიული ელემენტები სტიქიურათ განაგრძობენ თავიანთ ყოველ დღიურ მუშაობას და წვრილ-წვრილი, რაოდენობითი ცვლილებები შეაქვთ ძველ წესებში. რევოლიუციონურია მოძრაობა, როცა იგივე ელემენტები ერთათ შეკავშირდებიან, ერთი იდეით გამსჭვალებიან და აჩქარებულის ნაბიჯით გაექანებიან მტრის ბანაკისკენ, რომ ძირიანათ მოსპონ ძველი წესები მათი **ნიშნობლივი თვისებებით** და დაამყარონ ახალი. ევოლიუცია ამზადებს და ნიადაგს აძლევს რევოლიუციას, ხოლო რევოლიუცია აგვირგვინებს ევოლიუციას და ხელს უწყობს მის შემდგომ მუშაობას.

ასეთია შინაარსი დიალექტიური მეტოდისა.

მეცნიერების ისტორია გვიჩვენებს, რომ დიალექტიური მეტოდი ნამდვილი მეცნიერული მეტოდი ყოფილა: ასტრონომიიდან დაწყებული სოციოლოგიამდე—ყველგან ის აზრი ტრიალებს, რომ ქვეყანაზე მუდმივი არაფერია, რომ ყველაფერი იცვლება, ყველაფერი მოძრაობს და, მაშასადამე, ყველაფერს მოძრაობის თვალთახედვის ისარით უნდა უყურებდეთ,—ეს კი იმასა ნიშნავს, რომ დიალექტიკის სული ძვალსა და რბილში გასჯდომია დღევანდელ მეცნიერებას; რაც შეეხება მოძრაობის ფორმებს, რაც შეეხება იმას, რომ დიალექტიკის აზრით, წვრილ-წვრილი და რაოდენობითი ცვლილებანი ბოლოს დიდსა და თვისებობითს ცვლილებას წარმოშობენ ხოლმე, ამაზეც იგივე უნდა ვთქვათ, რაც ზემოთ. მენდელეევის სისტემა „ელემენტების წარმომავლობაზე" ნათლათ გვიჩვენებს, თუ რა დიდი მნიშვნელობა ეძლევა ქვეყნიურ ისტორიაში თვისებობითი ცვლილების წარმოშობას რაოდენობითი ცვლილებებიდან; ამასვე მოწმობს ნეოლამარკიზმის ტეორია ბიოლოგიაში, რომელსაც ადგილს უთმობს ძველი და ახალი დარვინიზმი. ჩვენ ალარაფერს ვამბობთ სხვა ფაქტებზე, რომლებზედაც საკმაოთ მოგვითხრობს ფ. ენგელსი თავის „ანტი-დიურინგში".

როგორ უყურებენ ანარხისტები დიალექტიურ მეტოდს?

კობა

# პრესა

გაზ. „კავკასიის გეროლდი" ძალიან გახარებულია. მურომცევს „მინისტრთა კაბინეტის შედგენა მიანდეს" და, მაშასადამე, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ „ხალხის ხანგრძლივი ბრძოლა დაცხრებაო". საწყალი გაზეთი, აი თურმე რა ენატრება მას! თურმე ნუ იტყვით, ხალხის ბრძოლა მობეზრებია, სჩანს ცქერით დაღალულა!.. მართალია, ცოტა დაფიქრების შემდეგ ეჭვი შეპარვია—მინისტრებს სათათბიროს არ აარჩევინებენ და კარგი არ იქნებაო, მაგრამ თუ ისე მოხერხდა საქმე, რომ სათათბიროს უმეტესობას აარჩევინებენ—მაშინ, განაგრძობს გაზეთი ზეშთაგონებით, მაშინ ბოლო მოეღება „სიმშილობასაც, უმუშევრობასაც და ფაბრიკა-ზავოდების დახურვასაც, მაშინ რუსეთი გამოვა იმ მოჯადოებული წრიდან, რომელშიაც ის ტრიალებსო" და სხვ. დიახ, დიახ, ხელთეთრო ბატონებო! როცა კადეტები და რეაქცია კავშირს შეკრავენ, რა თქმა უნდა, მუშებისა და გლეხების წინაალმდეგ, მაშინ ყველაფერი მოწესრიგდება და ქვეყნათ სამოთხე დამყარდება! ნეტავი-ღა თქვენს უსუსურობას, თუ უნამუსობას!..

* * *

„ივერია" ძველებურათ განაგრძობს თავის ცილის-წამებ-ჭორიკანობას:

„სოციალ-დემოკრატიის პარტიამ იფიქრა, რომ მას სხვა პარტიების და ჯგუფების დახმარება აღარ სჭირია და საკუთარი ძალღონით შეუძლიან ბრძოლის გაგრძობა და რუსეთში რევოლიუციის ბოლომდე მიყვანა" ამიტომ დამარცხდა ის დეკემბერშიო.

სჩანს „ივერიამ" არ იცის, ან არ უნდა იცოდეს, რომ დეკემბერში სოც.-დემოკრატია **სოციალ-რევოლიუციონერებთან ერთათ** მოქმედებდა, **მათთან ერთათ** ადგენდა (პეტერ.-მოსკოვში) „აღმასრულებელ ბრძოლის კომიტეტებს" და სხვ. „ივერიამ" არ იცის ეს და მაინც ლაპარაკობს. რატომ? ალბათ იმიტომ, რომ „ჩვეულება რჯულზე უმტკიცესია", „ივერიის" ჩვეულება კი დედაბრული ჭორიკანობაა.

* * *

არც „ნობათი" ღალატობს თავის სასაცილო ჩვეულებას. ის კიდევ წინანდებურათ გვაგინებს სოციალდემოკრატებს: „უნიჭობა, უძლურება, ლოღიკური სიმხდალე, გონებრივი სიმახინჯე" და ვინ იცის კიდევ რაები—ყველა ეს თურმე სოციალდემოკრატების ნიშნოვლივი თვისებები ყოფილა! არც ერთი კაი თვისება არ-გვქონია თურმე, ჩვენ ბედშავ სოც.-დემოკრატებს! სჩანს ყველა კაი თვისება ანარხისტებს დარჩენია!.. ნეტა ვიცოდეთ, როდის დაანებებენ თავს ეს ნერვებ-აშლილი ახალგაზდა ბი ლიტერატურულ ნაცარქექიაობას, სწორეთ რომ ანარხია ქონიათ ნერვებში...

# რუსეთი

**შავრაზმელთა სამზადისი.** ვილნოს გუბერნიის ქალაქ გრაევში შეიპყრეს მღვდლათ გადაცმული მგზავრი, რომელსაც ოთხი პეტარდა და ებრაელების საწინაალმდეგო მოწოდება აღმოაჩნდა.

მარიუპოლის მცხოვრებლები მეტათ შეშინებულნი არიან, რადგან ხმებია ებრაელების დარბევა დაიწყებაო. ნავთსადგურის მუშები, რომელნიც ოქტომბრის „პაგრომებში" მხურვალე მონაწილეობას იღებდნენ, ახლა პროტესტს აცხადებენ ებრაელების დევნის წინააღმდეგ და მილიციის შედგენას აპირებენ.

— ქალაქ სუჯაში ადგილობრივი „ვოინსკი ნაჩალნიკი" სალდათებს შორის შავრაზმელთა მოწოდებებს არიგებს და მეამბოხეთა ამოჟლეტას ურჩევს მათ. სალდათები ცუდი აზრის არიან ამ მოწოდებებზე.

**აგრარული მოძრაობა.** ხარკოვის მაზრის სასოფლო ყრილობებმა გადაწყვიტეს, რომ თუ ჩვენებური სტრაჟნიკები სამსახურს თავს არ დაანებებენ და თავიანთ სახლში არ დაბრუნდებიან, გამოვრიცხოთ საზოგადოებიდანო.

— სოფელ კრ.-პივნოეში ისპრავნიკმა აგიტატორების გაცემა მოსთხოვა გლეხებს. გლეხებმა უარი უთხრეს. მაშინ ისპრავნიკის ბრძანებით ყაზახებმა თოფები დაუშინეს გლეხების ყრილობას. ორი გლეხი მოკლეს და რამდენიმე დასჭრეს.

— ორიოლის გუბერნიაში, ვედროვის მამულში გლეხები ტყეებს ჩეხენ და თივას ცელავენ.

— ეპიფანსკის მაზრაში ძლიერი აგრარული მოძრაობაა ტულიდან ორი როტა ჯარის კაცები გამოიწვია მთავრობამ.

— ხვილინსკიდან ატყობინებიან ვორონცოვ-დაშკოვის მამულში გლეხები ტყეებს ჩეხენ, თივას ცელავენო.

— ნოვოუზენის მცხოვრებლებმა ხელში ჩაიგდეს ქალაქის სათიბები და კერძო მემამულეთა ტყეების ჩეხა დაიწყეს. მთავრობამ ჯარები გამოიწვია მოძრაობის ჩასაქრობათ.

— ატკარსკში გლეხებმა ორი მემამულის ხუტორები გაცარცვეს.

**გაფიცვა.** ეკატერინოსლავში ელექტრონის სტანციის მუშები გაიფიცნენ. ქალაქში ღამღამობით წყვდიადი მეფობს.

— სერედაში ყველა ქარხნები გაიფიცა. ათი ათასამდე მუშა გაფიცული. მოთხოვნები ეკონომიური ხასიათისაა.

— ბორაცკის მაღაროებში გაფიცვა არ შეწყვეტილა გაფიცვებს პოპაცენკოს ეკონომიის მუშებმაც დაუჭირეს მხარი და გაფიცვა გამოაცხადეს.

# მუშების ცხოვრება.

## წესდების პროექტი კარეტნიკების პროფესიონალური კავშირისა.

**მიზანი კავშირისა:** 1) კარეტნიკების პროფესიონალური კავშირი ისახავს მიზნათ თავის წევრთა უფლებრივ და კლასობრივ მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ კარეტნიკების პროფესიის ყველა მუშათა შეერთებას.

2) კავშირის წევრთა გონებრივ-ზნეობრივ განვითარებისათვის კლასობრივ თვითცნობიერების გამოკვევას.

3) მატერიალურ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად: ა) სამუშაო დღის შემოკლებას, ბ) სამუშაო ქირის მომატებას, გ) ნაჭრობით, აგრეთვე დღიურ და ზედმეტ მუშაობის სრულიად მოსპობას, დ) მუშაობას ხელობის დაგვარად, ე) ჯამაგირებიდან გამოკლების (ჯარიმა) გაუქმებას, ვ) უფასო წამლობას და ექიმს ხაზეინის ხარჯით, აგრეთვე ავადმყოფობის დროს სრული ჯამაგირის მიცემას, ზ) მუშების მიღება-დათხოვნის საქმეს, ქარხნის შინაგან საქმეთა გაწესრიგებას მუშებისაგან არჩეულნი დეპუტატები განაგებენ, თ) მუშა წელიწადში ერთი თვის თავისუფლებით უნდა სარგებლობდეს, ი) ქარხნის დახურვის დროს მუშას სამი თვის ჯამაგირი უნდა მიეცეს.

**კავშირის დანიშნულება.** 1) ფულით დახმარების აღმოჩენა უსაქმოთ დარჩენილ, გაფიცულ და ავადმყოფ ამხანაგებს, აგრეთვე—იმ ამხანაგებს, რომელნიც სამუშაოს საშოვნელათ სხვა ქალაქებში წავლენ.

2) კავშირი ხელმძღვანელობას უწევს გაფიცვას, ხელს უწყობს პროფესიონალური ორგანიზაციის დაარსებას სხვა ქალაქებშიც, აარსებს ბიბლიოთეკებს, ჰმართავს კრებებს და სხვა.. აარსებს ბიუროს უსაქმოთ დარჩენილ წევრთათვის ადგილების მოსაძებნად, უწევს იურიდიულ დახმარებას თავის წევრებს.

(დასასრული იქნება)

## უსაქმოთ დარჩენილები.

უმუშევარმა თბილისშიაც გვაუწყა თავისი არსებობა და ეს ახალი მოვლენა რუსეთის უკანასკნელ დროის საზოგადოებრივ ცხოვრებისა—უმუშევართა ფართო სცენაზე აშკარა გამოსვლა აქაც უკვე ფაქტი შეიქნა. შიმშილისა ან ყრუ უბნების სველ სარდაფებში დევნილი პროლეტარების მასსა სინათლეზე გამოიფინა და წარსდგა „საზოგადოების" წინაშე. დოკუმენტების ხესაქმაოა მხოლოდ უწრთვნელი ხელით შედგენილს, მშრალ სარეგისტრაციო სიებს გადაავლოთ თვალი და დაინახავთ რომ არც თბილისი ჩამორჩენია „პროგრესს," და უკიდურეს სიღატაკის შემაძრწუნებელ სურათებს აქაც ჰქონია ადგილი. ასობით ნახავთ ისეთ მაგალითებს, რომ მთელი წლების განმავლობაში ამ შრომის უფლებას" მოკლებულთ გადაჭრილი სამუშაო არა ჰქონიათ და მათი არსებობა ყოველდღე სამუშაოს შემთხვევით შეხვედრაზე ყოფილა დამოკიდებული. ხშირი მაგალითია, რომ ხუთი-ექვსი წლის წინათ ხაზეინს ფაბრიკაში დიდიხნით ნამუშავარი მუშები გაფიცვის გამო დაუთხოვნია და უკანასკნელები მას შემდეგ უმუშევრათ და ულუკმა პუროთ დარჩენილა. ბევრ ისეთ მაგალითებსაც შეხვდებით, რომ უმწეო შრომის ინვალიდს მარჩენალი აღარვინა ჰყავს და მხოლოდ კერძო ქველმოქმედების ანაბარა ათრევს თავს მწარე დღეებს. ეჭვს გარეშეა, რომ სიებში უმუშევართა დიდ ნაწილს თავის ვინაობა—სხვა და სხვა მიზეზის გამო—არ შეუტანია. როგორც ვიცით გულკეთილმა პოლიციამ თავისი მზრუნველობა უმუშევართა მიმართ იმაში გამოხატა, რომ ასი თუ ორასი სიებში შეტანილი ეტაპით სახლებში გააგზავნა. ასეთი გადაწყვეტა უმუშევართა კითხვისა რასაკვრელია წამაქეზებლათ ვერ იმოქმედებდა ისეთ მუშებზე, რომლებიც რეგისტრაციას ისედაც ალმაცერათ და ეჭვით უყურებდნენ. ასეთი არაპედაგოგიური გაკვეთილებიც რომ არ ყოფილიყო, საზოგადოებრივ სამუშაოების ამბავი, რასაკვრელია, უმუშევართა ყველა გადაკარგულ ბუნაგებს ვერ მიაღწევდა. ასე რომ რეგისტრაციის შევსება ერთი აუცილებელ მოვალეობათაგანია უკვე არჩეულ უსაქმოთ დარჩენილთა საბჭოსი, რომელიც თითონ გამოძებნის გზას ზემოთ ნაჩვენებ დაბრკოლებათა დასაძლევათ.

საბჭოს არჩევნები ჩვენი აზრით ჯეროვან საფუძველზე იყო დამყარებული. ის დაფუძნებულია პროფესიანალურ წარმომადგენლობაზე. რაც შესაძლოთ ხდის, რომ ორგანიზაცია მთელ მუშაობის განმავლობაში მაგრდებოდეს, კავშირი ამრჩეველთა და წარმომადგენელთა შორის უფრო და უფრო მჭიდრო ხდებოდეს, და ამნაირათ ფორმალურ დასაწყისს, როგორიც არის არჩევნები, რეალური ცოცხალი მნიშვნელობა მიეცემა. უსაქმოთ დარჩენილთა საბჭოს მნიშვნელობასა და დანიშნულებაზე დაწვრილებით მერე მოვილაპარაკოთ.

ჯ. ბ.

# დეპეშები

(„პეტერბურგის სააგენტოსაგან")

**პეტერბურგი.** სახელმწიფო სათათბიროში შეტანილია შინაგან საქმეთა და ფინანსთა მინისტრისგან შედგენილი ანგარიში; უმოსავლობისგან დაზარალებულ გუბერნიებისთვის გადადებულ იქნა 50 მილიონი მანეთი. შინაგან საქმეთა მინისტრის გამოკვლევით უმოსავლობისგან დაზარალებულია 244 მაზრა, 51 გუბერნია. ის კაპიტალი, რომელიც მთელი იმპერიის დაზარალებულთათვის არის ჩვეულებრივათ გადადებული, უდრის მხოლოდ 300 000 მან. 88 მაზრაში შიმშილობა პერიოდული მოვლენა არის და ამ მაზრებისთვის გადადებული ფული სულ დახარჯულია. ამ მდგომარეობაში არის ცენტრალური გუბერნიები. ამ გუბერნიების მიწების დასათესათ საჭიროა 25.918,000 ფუთი პურის მარცვალი და დაზარალებულთა დასახმარებლათ 56.480,000 ფუთი. ეს პური დაჯდება სულ 86,202,000 მ. ამას გარდა საზოგადო სამუშაოსთვის და საქონელის გამოსაკვებათაც საჭიროა ფული. ამის დაგვარათ სულ 1906 წელში უნდა გადაიდვას დამშეულთათვის 100 მილიონი მან., ამ ფულის ნახევარი შეიძლება მომავალი წლის ნიხრში ჩავრიცხოთ. მინისტრების აზრით ახლავე მთელი საქმის ადგილობრივ თვითმართველობისთვის გადაცემა შეუძლებელია, რადგანაც დამშეულ მაზრების უმეტესობაში საერობო ორგანიზაციები არ არსებობს. საქმე-კი ძალიან საჩქაროა.

**იუზოვკა.** საფრანგეთის კამპანიის მაღაროებში გაფიცვა გათავდა. მოთხოვნილებათა უმეტესობა დაკმაყოფილებულია.

**კრემენჩუგი** კიევის სამხედრო საოლქო სასამართლომ სალდათ ვურპეკს ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა, ორი გოროდოვოის მოკვლისთვის.

**ბათუმი.** სალდათებს და აფიცერს ციხეში მიჰყავდათ რამდენიმე პოლიტიკური ტუსაღები. ტუსაღები გაიქცნენ, მათთან ერთად გაიქცა რამდენიმე სალდათი. ერთი დაიჭირეს. იარაღი არ უხმარიათ, ქალაქში სიწყნარეა.

**იუზოვკა.** გლეხებმა დასწვეს 160 ზვინი თივა და ტყის მცველის სახლი.

**ფეოდოსია.** აქ საშინელ სიმშილობას ელიან. თითქმის, მოსავალი სრულიათ არ არის.

**ბრიანსკი.** „ბრიანსკი გოლოსი"-ს დღევანდელი ნომერი დაატყვევეს.

**სიზრანი.** აქ შიმშილობა იწყება

**პეტერბურგი.** სახელმწიფო სათათბიროს 19 ივნისის სხდომა.—კრება გაიხსნა 12 საათზე. თავმჯდომარე მურომცევია. კრების თავისუფლების კანონპროექტზე სჯა-ბაასი განახლდა. გალეცკი ჰკიცხავს კანონ-პროექტს; მისი აზრით კანონპროექტი მუშებისთვის ძალიან შემავიწროებელია; ხალხის თავისუფლების პარტია რევოლიუციის გადაფურჩებას ცდილობს; ის არ არის ღირსი, რომ მას ხალხის თავისუფლების პარტია ეწოდოს, სხვა ორატორები **გრედესკული** და **პეტრაჟიცკი** ძალიან უიმედოთ უყურებენ დუმის კანონ-პროექტების" განხორციელებას. ამ პირობებში უთანხმოება ხდება: ან სულ არ უნდა შეადგინონ კანონ-პროექტები ან და თუ შეადგენენ ხეირიანათ უნდა შეიმუშაონ. რასაკვირველია, ხალხის თავისუფლების პარტია გრაფ გეიდენთან ერთად დიდ უმრავლესობას შეადგენს, მაგრამ მაშინ უკიდურესმა მემარცხენე პარტიებმა სწორეთ რომ უჰაერო სივრცეში უნდა ილაპარაკონ. პროფესორი მაქსიმ **კოვალევსკი** კიცხავს კადეტების პროექტს. სრულიათ ეთანხმება სოციალ-დემოკრატების აზრს კრებების თავისუფლებაზე. ორატორი ხმას პროექტის წინააღმდეგ აძლევს (ატაცებული ტაში მარცხნიდან. ზალაში მოძრაობაა). მემარცხენეები მემარჯვენეებს და ცენტრს ეკამათებიან. ლაპარაკობენ **ჯაფარიძე** და **ბრამსონი**, ამბობენ: სოციალიზმის ანბანური ჭეშმარიტება იმას კი არ ღაღადებს პლორეტარიატს სხვა კლასები დაემორჩილონო, არამედ დამონებულ კლასებისთვის თავისუფლებას ითხოვს. სოციალიზმის განხორციელებას ამ წუთში არავინ არ ითხოვს, ახლა მხოლოდ კრების თავისუფლების კანონ-პროექტი ირჩევა. 2-საათზე სხდომა შეწყდა. იუსტიციის მინისტრის და უფროსი სამხედრო-საზღვაო პროკურორის შემდეგ სიტყვა ეკუთნოდა უფროს სამხედრო პროკურორს გენერალ-ლეიტენანტ პავლოვს. პროკურორი ჯერ ტრიბუნასთან მისული არ იყო, როცა გაისმა მარცხნიდან მძლავრი ყვირილი: „შორს ჯალათო, მკვლელო, გასწი გარეთ!" თავმჯდომარე რაც ძალი და ღონე აქვს რეკავს და ამბობს, რომ ამ პირობებში ის იძულებული გახდება სხდომა დახუროს. პროკურორი ტრიბუნაზე სდგას. ხმაურობა, მღელვარება და ყვირილი ძლიერდება. „ჯობია შევწყვიტოთ სხდომა, ჩვენ არ გვინდა ჯალათის სიტყვები მოვისმინოთ, ძირს მტარვალი! ძირს შმიდტის მკვლელი!" თავმჯდომარე სხდომას შეწყვეტილათ აცხადებს და პროკურორთან ერთად ტრიბუნიდან ჩამოდის. ყვირილი მაინც არ სწყდება: ბოლოს პროკურორი გადის ზალიდან.

რედ.-გამომცემელი ნ. ახმეტელაშვილი